დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლაში

ნანა შენგელია

თამარ აბრამიშვილი

მარიამ დვალიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი გახელაძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს მიერ შექმნილ ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ ან დასაცავად უკვე წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის შესაბამისად.

ნანა შენგელია

თამარ აბრამიშვილი

მარიამ დვალიშვილი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადენს სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის მე-3 საჯარო სკოლაში ჩატარებულ პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე ,,დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა“.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ზოგადი განათლების სისტემის ერთ-ერთ გამოწვევად იქცა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვა და მისი ეფექტიანობის შეფასება მოსწავლეებში, აქედან გამომდინარე - წინამდებარე კვლევის მიზანია შეიქმნას ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების შეფასებას დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჭრილში.

კვლევის დროს გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი. პრაქტიკის კვლევის პირველ ეტაპზე, სკოლის დირექტორთან ჩაღრმავებული ინტერვიუს საფუძველზე, მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება.

მეორე ეტაპზე ჩატარდა ფოკუს ჯგუფი სკოლის 8 დამრიგებელთან, რის საფუძველზეც დაიგეგმა ინტერვენცია. განხორციელებული ინტერვენციის საფუძველზე მასწავლებლებმა შეძლეს რეალურად შეეფასებინათ განხორციელებული სასწავლო პროექტების შედეგიანობა. მოსწავლეთა შეფასების რუბრიკის გამოყენებით გაანალიზეს შედეგები, რის საფუძველზეც მოხდა ახალი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ჩვენს მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი დაეხმარება მასწავლებლებს შეაფასონ მოსწავლეთა უნარ-ჩვევები და ამის საფუძველზე გააუმჯობესონ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვა სასკოლო საზოგადოებაში.

საძიებო სიტყვები: კომპეტენცია, დემოკრატიული კულტურა, შეფასება, ინტერვენცია, ინსტრუმენტი.

Abstract

This current paper represent the report of Action research about –“ implementation of tools for evaluating the competences of democratic culture”, which was conducted in Sachkhere, at Shota Rustaveli Public School School N3.

On many countries of the world, including Georgia, one of the challenges of the general education system has become the introduction of democratic culture competencies and the evaluation of its effectiveness among students, therefore - the purpose of this study is to create an effective tool that provides the assessment of students in terms of democratic culture competencies.

A qualitative method was used during the research. At the first stage of practice research, based on an in-depth interview with the school principal, the problem was identifie. In the second stage, a focus group was held with 8 tutors of the school, based on which the intervention was planned. Based on the implemented intervention, the teachers were able to actually evaluate the usefulness of the projects using the student evaluation rubric.

The results were analyzed, on the basis of which new projects were planned and implemented. The assessment tool we have developed will help teachers to assess the students' skills and, based on this, to improve the implementation of democratic culture competencies in the school community.

Keywords: competence, democratic culture, assessment, intervention, instrument.

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის მე-3 სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნინო ჩიხლაძეს, კვლევაში მონაწილე დამრიგებლებსა და სკოლის მოსწავლეებს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის დახმარებისა და აქტიური მონაწილეობისათვის. ასევე გვსურს მადლობა გადავუხადოთ , ჩვენი კვლევის ხელმძღვანელს, მოწვეულ პროფესორს, ბატონ გიორგი გახელაძეს მუშაობის პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის.